

უნივერსალური სარესტავრაციო კომპოზიტი

წინა და უკანა კბილების ნანო-შემავსებლიანი მიკროჰიბრიდული სხივით გამყარებადი კომპოზიტი

აღწერა:

REFLECTYS წარმოადგენს სხივით გამყარებად, რენტგენოკონტრასტულ, ჰიბრიდულ კომპოზიტურ მასალას. მისი გამოყენება შეიძლება როგორც ფრონტალური, ასევე საღეჭი კბილების რესტავრაციისთვის.

შემადგენლობა:

- ბარიუმის ალუმინოსილიკატი
- ტრიეთილენგლიკოლის დიმეთაკრილატი
- პიროგენული სილიციუმი
- არაორგანული შემავსებლის ნაწილაკები შეადგენს მოცულობის 80%-ს.
- Bis-GMA

ჩვენებები:

უკანა კბილების I, II, V კლასი

წინა კბილების III, IV, V და ცერვიკალური კარიესები (სოლისებრი დეფექტი) , ფესვის ზედაპირების ჩათვლით.

უკუჩვენებები:

REFLECTYS არ გამოიყენება პაციენტებში, რომელთაც აღენიშნებათ ჰიპერმგრძობელობა აღნიშნული პროდუქტის ან მეტაკრილატის მონომერის მიმართ.

რეკომენდებული პროცედურა:

1. ფერის შერჩევა: გაასუფთავეთ კბილები პემზის ფხვნილით/პასტით და წყლით, მოაშორეთ ზედაპირული ლაქები და ნადები. კბილები არ არის მონოქრომატული. განსაზღვრეთ ფერი და რესტავრაციის სიღრმე. სასურველია, ფერი შეარჩიოთ სინჯის ალების შემდეგ. საიზოლოაციოდ რეკომენდირებულია რაბერდამის გამოყენება. **2. ღრუს პრეპარირება - წინა კბილების რესტავრაცია -** მოამზადეთ კბილი ჩვეულებრივი წესით, როგორც III, IV და V კლასის რესტავრაციისთვის. - **უკანა კბილების რესტავრაცია -** მოამზადეთ ღრუ. პრეპარირებულ ღრუში არ უნდა დარჩეს ამაღამის ან საბაზისო მასალის ნარჩენები, რამდენადაც ის ხელს შეუშლის სხივის გავლას და, შესაბამისად, სარესტავრაციო მასალის გამყარებას. **3. პულპის დაცვა:** ღრმა კარიესული ღრუების შემთხვევაში, საჭიროა პულპის დაფარვა, დენტინზე პულპასთან ახლოს დაიტანეთ კალციუმის ჰიდროქსიდის მცირე ოდენობა, ხოლო ღრუს ზედაპირის დანარჩენი ნაწილი დატოვეთ თავისუფალი. სასურველია გამოიყენოთ მინაიონომერული ან სხვა ევგენოლის არშემცველი საბაზისო მასალა. **4. მატრიცის დაყენება:** გამოიყენეთ მატრიცის სისტემა, სასურველია გამჭვირვალე, საჭირო ფორმის პრეკონტურირებული მატრიცა უმნიშვნელო გამოყოფის და ოპტიმალური პროქსიმალური კონტაქტის უზრუნველსაყოფად. **5. მინანქრისა და დენტინის დამუშავება:** დაიცავით დამუშავების, მომზადების, ადჰეზივის გამოყენების და გამყარების შესახებ მწარმოებლის ინსტრუქციები. რეკომენდირებულია REFLECTYS -ის გამოყენება Dentoetch და Iperbond Ultra-სთან ერთად. **6. კომპოზიტის განაწილება - შპრიცით -** ამოიღეთ აღმდგენი მასალის საჭირო რაოდენობა შპრიციდან და დაიტანეთ იგი შესარვე დაფაზე სახელურის ნელ-ნელა გადატრიალებით საათის ისრის მიმართულებით. დაუყოვნებლივ დაახურეთ შპრიცს თავსახური. თუ მაშინვე არ გამოიყენებთ, ამოღებული მასალა უნდა მოარიდოთ სინათლეს. სარესტავრაციო მასალა დაიტანეთ ღრუში შესაბამისი ინსტრუმენტის გამოყენებით. -ერთჯერადი დოზის კაფსულა - მოათავსეთ კაფსულა დისპენსერში. დაიტანეთ აღმდგენი მასალა პირდაპირ ღრუში ნელი და თანაბარი მოძრაობით. **7. განთავსება:** სარესტავრაციო მასალა დაიტანეთ ფენა-ფენა (ფენის სისქე 2.5მმ ან ნაკლები) და გაამყარეთ სინათლით. ღრუ ოდნავ გადავსებული უნდა იყოს ისე, რომ კომპოზიტი ფარავდეს ღრუს ნაპირებს. სამუშაო ველი მოარიდეთ ინტენსიურ სინათლეს. **8. გამყარება:** აღნიშნული სარესტავრაციო მასალა ითვალისწინებს გამყარებას 400 მგტ/სმ2 ინტენსივობით. დასხივების დროს სინათლის წყარო დაიჭირეთ საპოლიმერიზებელ მასალასთან რაც შეიძლება ახლოს. თითოეული ფენისთვის რეკომენდირებული გამყარების დრო და ფენის მაქსიმალური სისქე მოცემულია ქვემოთ:

ფერი	სისქე	გამყარების დრო
A1,A2,A3,A3.5,B1,B2 , B3, C2, C3, I, P, E	2.5მმ	20წმ
A4, D3, A20, A30	2.5მმ	30წმ

9. გაპრიალება: გამყარების შემდეგ დაუყოვნებლივ მოახდინეთ ზჟენის ზედაპირის გაპრიალება ალმასის ბორით ან ქვით. ფრთხილად შეამოწმეთ ოკლუზია, ზედმეტი მასალა მოაშორეთ ალმასის ბორით ან ქვით.











შენახვის პირობები:

- 1) არ შეინახოთ მაღალი ტემპერატურისა და ინტენსიური სინათლის პირობებში.
- 2) არ შეინახოთ ევგენოლის შემცველი პროდუქტების ახლოს.

უსაფრთხოების ზომები

1. მხოლოდ სტომატოლოგიური გამოყენებისთვის. 2. უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ სტომატოლოგის მიერ. დაიცავით პროცედურები და უსაფრთხოების ზომები. 3. მოარიდეთ არასამედიცინო განათლების მქონე პირებს, მათ შორის ბავშვებს, უფროსი ასაკის მოქალაქეებსა და სხვებს. 4. კანის გაღიზიანების ან აკრილატის მიმართ ალერგიული რეაქციის გამოვლენის შემთხვევაში, შეწყვიტეთ მოხმარება. 5. მოერიდეთ არაპოლიმერიზებულ მასალას. კანთან მოხვედრის შემთხვევაში, დაუყონებლივ ჩამოიბანეთ საპნითა და დიდი რაოდენობის წყლით. 6. თვალში მოხვედრის ან პირის ღრუს ქსოვილებთან ხანგრძლივი კონტაქტის შემთხვევაში, დაუყონებლივ გამოირეცხეთ დიდი რაოდენობის წყლით. 7. მაცივარში შენახვის შემთხვევაში, გამოყენებამდე მასალა გააჩერეთ ოთახის ტემპერატურაზე. 8. რეკომენდებულია დამცავი ხელთათმანების და უკონტაქტო ტექნიკის გამოყენება. 9. გამოყენებამდე რეკომენდირებულია რესპირატორული ტრაქტის დამცავი მოწყობილობის გამოყენება. 10. არაპოლიმერიზაციის შემთხვევაში შეამოწმეთ სხივის ინტენსივობა და შემდეგ დაუკავშირდით უახლოეს დილერ(ებ)ს ან მწარმოებელს. 11. არ გამოიყენოთ ვარგისიანობის ვადის გასვლის შემდეგ.

სიმბოლოები

	იხილეთ ინსტრუქციები
	მწარმოებელი
	ტემპერატურის შეზღუდვა
	შენახვის ვადა
	გამაღიზიანებელი
RxOnly	მხოლოდ რეცეპტით
	სამედიცინო მოწყობილობა
	სერიის ნომერი
	საცნობარო ნომერი
	მოარიდეთ მზის სინათლეს
	შეინახეთ მშრალ ადგილას

მწარმოებელი:

ITENA

ITENA CLINICAL

www.itena-clinical.com

საფრანგეთი, ვილპენტი 93420, ჟორჟ კლემენცოს გამზ. 31

ტელ.: +33(0)1 45 91 61 40

CE 0425

Ind. 6- თარიღი: 09/2020